ახალი სასწავლო წლის დაწყებას ვულოცავ ყველა მოსწავლეს და მასწავლებელს! განსაკუთრებით კი ყველა პირველკლასელს, რომლებმაც ცხოვრების ახალი ეტაპი დაიწყეს. განათლებული მომავალი თაობა, ჩვენი ქვეყნის განვითარების და სტაბილურობის საფუძველია.

გიორგი ურუშაძე,
სახელმწიფო რწმუნებული ლანჩხუთის, ოზურგეთის, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში.

,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელით ახალი სასწავლო წლის დაწყებას ვულოცავ მოსწავლეებს, პედაგოგებს, მშობლებს, განსაკუთრებით კი ჩვენს პირველკლასელებს. ბავშვებო, დღეს პირველად შეაღეთ სკოლის კარი, თქვენს ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი დაიწყო, ცოდნის, გამოცდილების და ახალი მეგობრების შეძენის პროცესი.

ყველას კიდევ ერთხელ გილოცავთ და გახსოვდეთ, რომ თქვენ ხართ ჩვენი ქვეყნის ნათელი მომავალი, რომლის განვითარებისა და წინსვლისთვის თქვენი განათლება და წარმატება უმნიშვნელოვანესია!

დავით დარჩია
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

მაღალმთიან სოფელ ჩხაკოურაში ახალი სკოლა გაიხსნა

ალიონი. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფელ ჩხაკოურაში 15 სექტემბერს საზეიმოდ გაიხსნა ახალი სკოლა.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე **მზია გიორგობიანმა,** გურიაში სახელმწიფო რწმუნებულმა **გიორგი ურუშაძემ** და ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელმა პირებმა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხაკოურას ახლად აშენებული საჯარო სკოლა დაათვალიერეს და მოსწავლეებს სასწავ-

გვ–3

ალიონი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
ყოველკვირეული გამოშვება. № 24 (10436) 19 სექტემბერი 2022 წ. ფასი 80 თეთრი.

ძვირფასო მოსწავლეებო, მასწავლებლებო, მშობლებო!
ძველი ასნაგვარეულის მარცვალი გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დასწყებას!
მის: ქ. ოზურგეთი, ი. ქავქავაძის ქ. №15

ფესტივალი, რომელიც გურიის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს

ალიონი. დაბა ურეკში აგრო-ტურისტული ფესტივალი – „ჩაის გზა“ გაიმართა, სადაც ფესტივალის მონაწილეებმა გურიის ტურისტული პოტენციალის ამსახველი კუთხეები მოინახულეს და ადგილობრივი მეწარმეების მიერ წარმოებული პროდუქტები დააგემოვნეს.

ფესტივალი, რომლის მიზანია ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაცია, – **USAID**-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის, ოზურგეთის მერიის, ბახვი ჰესი (**Bakhvi HPP**) მხარდაჭერით და ასოციაცია „ჩაის გზის“ ორგანიზებით ჩატარდა.

ფესტივალში 18 მწარმოებელი მონაწილეობდა, მათ შორის ისეთი ცნობილი ჩაის მწარმოებლები, როგორიცაა დავით თენიეშვილი, შპს „მილმართი,“ შპს „ანასეულის ექსპერიმენტალური ჩაის ფაბრიკა,“შპს „არომატი-91“,„გამარჯვობა ჩაი,“ კოოპერატივი „ნაგომარი“, „9 მთა“; შპს „ეგზო-ფრუქტი“– მშრალი ხილის წარმოება; „გურული ფუტკრის თაფლი,“ია ურუშაძე –თაფლის წარმოება; ტაბერნე გურიაში – აცანა –აგრო ტურსიტული ლოკაცია; ლიკა მეგრელაძე: ჩურჩხელების წარმოება –მზია შარაშიძე.

მელვინეობა, გურული ღვინის წარმოება ვახუშტი მენაბდის, დავით კობიძის, გიორგი კუკულავას და ბესიკ მეფარიშვილის მარნებით იყო წარმოდგენილი.

–ჩვენი მიზანია, შევინარჩუნოთ ის კულტურა, რაც ფესტივალს გააჩნია და შეიქმნას მეტი შესაძლებლობები,რომ ქვეყანაში მეტი ტურისტი მოიზიდოს.ეს ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერებას შეუწყობს ხელს.

– ეს არის პირველი ფესტივალი და იმედი მაქვს, იქნება კიდევ უფრო მეტი. „ჩაის გზასთან“ ერთად ვმუშაობთ, რომ უფრო მეტად შევუწყოთ ხელი მსგავს ინიციატივებს –განაცხადა USAID-ის საქართველოს ეკონომიკის ზრდის ოფისის ხელმძღვანელმა **მარიკა ოლსონმა.**

„გურული ღვინოები“ (ამირან დოლიძის მარანი): –*გვაქვს მეღვინეობასთან დაკავ-*

გვ–3

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისავან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი

ნუგზარ ასათიანი

nugzarasatiani15@gmail.com

558 499100

კომპიუტერული უზრუნველყოფა

გიორგი გოგოლაძე

gia_77@mail.ru

551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3

ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“

მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოთხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

სახელმწიფოსა და USAID-ის მხარდაჭერით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, თხილის შემნახველი ახალი საწარმო გაიხსნა

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე **გიორგი ხანიშვილი,** გურიაში სახელმწიფო რწმუნებული **გიორგი ურუშაძე** და USAID-ის მისიის ხელმძღვანელი **ჯონ პენელი** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო აკეთში იმყოფებოდნენ, სადაც თხილის ახალი საწარმო დაათვალიერეს.

–„ *სოფელ ქვემო აკეთში გაიხსნა თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი თხილის საშრობი და შემნახველი საწარმო, რომელიც მოემსახურება 3000-მდე ფერმერს და შესაძლებელი იქნება 500 ტონამდე თხილის შენახვა. აღნიშნული საწარმო ხელს შეუწყობს ფერმერებს აწარმოონ ხარისხიანი პროდუქცია და კონკურენტუნარიანები იყვნენ როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზრებზე“*– აღნიშნა სახელმწიფო რწმუნებულმა **გიორგი ურუშაძემ.**

შპს „ჯი-ეიჩ-ჯი-ეი კომერშიალ“-ის საწარმოში ჯამურად 900 000 ლარზე მეტი ინვესტიცია განხორციელდა. საწარმო სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის პროგრამების და USAID-ის ბენეფიციარია.

დაფინანსებულია

ოზურგეთელ პედაგოგებთან ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებზე შეხვედრა გაიმართა

საგარეო საქმეთა სამინისტროს ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებით, ოზურგეთის ცენტრალური ბიბლიოთეკის დარბაზში, ოზურგეთის საჯარო სკოლების პედაგოგებისთვის შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრაზე მოწვეულმა მომხსენებელმა, „სამხედრო ჟურნალისტთა ასოციაციის“ დამფუძნებელმა, ჟურნალისტმა და სამხედრო ექსპერტმა **გიორგი ცხვიტავამ** ნატო - საქართველოს ურთიერთობებსა და არსებული თანამშრომლობის მნიშვნელობაზე, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ღია კარის პოლიტიკასა და ნატო-საქართველოს თანამშრომლობის მიღწევებზე ისაუბრა. ყურადღება გამახვილდა საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში საქართველოს მონაწილეობაზე, საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების უალტერნატივობასა და სამომავლო პერსპექტივებზე.

შეხვედრას მოდერაცია გაუწია საინფორმაციო ცენტრის გურიის რეგიონული ბიუროს წარმომადგენელმა ირაკლი პაპავამ, რომელმაც მონაწილეებს გააცნო საინფორმაციო ცენტრის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და ხაზი გაუსვა ქვეყნის მთავარი საგარეო პრიორიტეტების შესახებ საზოგადოების გაცნობიერებული მხარდაჭერისა და ანტიდასავლური პროპაგანდის მიმართ მისი მედეგობის გაზრდის განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

შეხვედრის დასასრულს ყველა მონაწილეს საინფორმაციო ცენტრის მასალები გადაეცათ.

შეხვედრა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დაფინანსებული პროექტის „დასავლური ინტეგრაციის შესახებ ინფორმირებულობისა და ჩართულობის გაზრდა საქართველოს რეგიონებში“ ფარგლებში გაიმართა, რომელსაც საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ, საქართველოში აშშ-ს საელჩოსთან ერთად ახორციელებს.

გურიის ტურისტულ რუკას ფარცხმის ტყე-პარკი და სანისლიის აბანოები უნდა დაემატოს

გურიაში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე **ქეთი მოისწრაფეშვილი,** ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი **დავით შარაშიძე** და ქონების მართვის, ეკონომიკურ და სოფლის მეურნეობის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **აკაკი ყაჭეიშვილი** შეხვდნენ კურორტების განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელს **ალექსანდრე ონოფრიშვილსა** და სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს უფროსს **იოანე მენაბდეს.**

მოინახულეს პოტენციური საკურორტო ზონები მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე:ფარცხმის ტყე-პარკი და სანისლია.

ფარცხმის ტყე-პარკი მნიშვნელოვანი კულტურული ცენტრი იყო როგორც ტურისტებისთვის, ასევე ადგილობრივი მოსახლეობისთვის, რომლის აღდგენის შემთხვევაშიც კიდევ ერთი საინტერესო ადგილი მოინიშნება გურიის ტურისტულ რუკაზე.

სანისლია გამოირჩევა თბილი წყლებით და სხვადასხვა დაავადების სამკურნალო თვისებებით ხასიათდება.

შეხვედრაზე იმსჯელეს აღნიშნულ ტერიტორიაზე საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასა და ბალნეოლოგიური კურორტის განვითარებაზე.

– *ჩოხატაურის მუნიციპალიტეტისთვის ტურისტული ზონების განახლება და ინფრასტრუქტურის განვითარება ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა.* – განაცხადა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერმა **დავით შარაშიძემ.**

ბავშვისა და ბავშვთა ოჯახებზეა ორიენტირებული

ბავშვზე ორიენტირებული სოციალური დაცვის სისტემის შესაქმნელად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერ **ალექსანდრე სარიშვილსა** და ა (ა) იპ „ლანჩხუთის ახალგაზრდულ მოძრაობას“ შორის მემორანდუმი გაფორმდა.

თანამშრომლობის მიზანია მუნიციპალიტეტში ბავშვისა და ბავშვიანი ოჯახების სოციალური დაცვის სისტემის განვითარების ხელშეწყობა, სოციალურ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანაშრომლობითი პლატფორმის შექმნა, მუნიციპალიტეტში ბავშვისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებებზე ორიენტირებული გრძელვადიანი მომსახურებების შექმნა.

შეხვედრას „ბავშვთა კეთილდღეობის ლიგის“ ხელმძღვანელი ეკატერინე სანებლიძე, ლანჩხუთის მერის მოადგილე ეკატერინე გუჯაბიძე, მერიის ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის მიმართულების განყოფილების უფროსი მაკა გოგიჩაიშვილი ესწრებოდნენ.

დასუფთავების აქცია გაიმართა

გურიაში კამპანიის „დავასუფთაოთ მსოფლიო“ (Clean Up the World) ფარგლებში დასუფთავების აქცია გაიმართა, რომელშიც გურიაში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე ზაზა შოშიტაიშვილი ადმინისტრაციის თანამშრომლებთან ერთად ჩაერთო. კამპანია მიზნად ისახავს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებასა და გარემოსდაცვითი უნარჩვევების გამომუშავებას. საქართველოში კამპანია „დავასუფთაოთ მსოფლიო“ ტარდება 2010 წლიდან

„საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/-დედამიწის მეგობრები-საქართველოს ინიციატივით“.

მაღალმთიან სოფელ ჩხაკოურაში ახალი სკოლა გაიხსნა

ლო წლის დაწყება მიულოცეს.

—„ვულოცავ ახალი სასწავლო წლის დაწყებას ყველა მოსწავლეს და პედაგოგს! სასიხარულოა რომ, ჩოხატაურის მუნიციპალიტ-ეტის სოფელი ჩხაკოურა სასწავლო წელს ხვდება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ახალი სკოლით. გურიის რეგიონში საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება აქტიურად მიმდინარეობს. ჩვენი ხელისუფლებისათვის განათლება ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს და ამ მიმართულებით ბევრი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნა გადადგმული. საქართველოს პრემიერ -მინისტრის მიერ ინიცირებული ახალი პროგრამის ფარგლებში, როგორც მთელი ქვეყნის მასშტაბით, ასევე გურიის რეგიონშიც, არა ერთი ახალი სკოლა აშენდება“ — აღნიშნა სახელმწიფო რწმუნებულმა გურიის მხარეში **გიორგი ურუშაძემ.**

—„ჩვენი გუნდის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა სწორედ განათლებაა და განათლებისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა.

თითოეულ მოსწავლესა და მასწავლებელს ვულოცავ სასწავლო წლის დაწყებას.

განსაკუთრებით ვულოცავ პირველკლასელებს, რომლებმაც დღეს პირველი ნაბიჯი გადადგეს ცხოვრების ახალ ეტაპზე.

ამ სოფელს ვუსურვებ მრავალი წარმატებული თაო-ბა აღზარდოს ქვეყნისთვის და ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის.“— განაცხადა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერმა **დავით შარაშიძემ.**

— ახალი სასწავლო წლის დაწყებას ვულოცავთ ჩვენს მოსწავლეებს, პედაგოგებს და საგანმანათლებლო პროცესის ყველა მონაწილეს. განსაკუთრებით ვულოცავ საქართველოს ერთერთი ყველაზე მაღალმთიანი ჩხაკო-ურას მკვიდრთ, სადაც დღეს ახალი სკოლა გავხსენით და სოფელს მრავალწლიანი ოცნება აუსრულდა. ეს ბოლო წლებში, ჩვენს მუნიციპალიტეტში აშენებული მე - 7 ახალი სკოლაა.

განათლებით გაძლიერებას ვუსურვებ ჩვენს ქვეყანას, რადგან „ამ წუთისოფელში ბედი იმისია, ვინც ძლიერია, და ძლიერი მარტო მცოდნე კაცია,“— განაცხადა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ირაკლი კუჭავამ.**

— ძალიან დიდი ზეიმი გვაქვს სოფელში. გაიხსნა თანამედროვე სტანდარტებით შესაბამისად აგებული საჯარო სკოლა, სადაც 8 საკლასო ოთახი და ერთი კლას-ლაბორატორია მოეწყო. ადრე ბავშვებს სკოლაში რთულ პირობებში უწევდათ განათ-ლების მიღება. ახლა აქაური მოსწავლეები უკვე გამართ-ული სასკოლო ინფრასტრუქტურის პირობებში და კე-თილმოწყობილ გარემოში შე-ძლებრნ სწავლის გაგრძელებას. საკლასო ოთახების გარდა, კეთილმოეწყო სკოლის ეზოც, დამონტაჟდა გათბობის, წყალსადენის და კანალიზაციის სისტემები. სკოლა სრულად ადაპტირებულია განსაკუთრებული საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის. —გვითხრა სკოლის დირექტორმა **ალა მარმა.**

— ქალბატონო ალა, რამდენია სკოლის მოსწავლეების კონტიგენტი და რამდენმა ბავშმა შეაღო წელს პირველად სკოლის კარი?

—მაღალმთიან სოფელ ჩხაკოურაში 200-ზე ცოტა მეტი ადამიანი ცხოვრობს. ამჟამად სკოლაში 27 მოსწავლე სწავლობს, რომელთა აღზრდას 15 პედაგოგი ემსახურება. პირველ კლასში წელს ერთი მოსწავლე — ანი ბერიძე გვყავს. იმედია, მოავალში სკოლაში კონტიგენტი მიიმატებს. —გვითხრა მან.

სოფელ ჩხაკოურას 60 მოსწავლეზე გათვლილი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ახალი სკოლის მშენებლობა საქართველოს მთავრობის დაფინანებით, მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განხორციელდა.

პროექტის სრული ღირებულება 1 257 000 ლარია.

ფესტივალი, რომელიც გურიის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს

შერეული არტეფაქსები, რომლებიც მე-19 საუკუნის 20-იანი წლებით თარიღდება.

გურიაში ზოგადად ნაყოფიერი მიწების ნაკლებობაა. სოფელ ამაღლებაში მხოლოდ 0,5 ჰექტარზე გვაქვს გაშენებული ზვარი, მაგრამ თანასოფელელებს, ვისაც აქვს მიწა, დავხმარეთ და დავარგვევინეთ ვაზი. ახლა მთვან ვყიდულობთ ყურძენს.

ვაწარმოებთ გურულ და იმერულ ღვინოებს. „ცოლიკოური“ გურიაშიცაა და რაჭა - ლეჩხუმშიც, სამეგრელოსა და აფხაზეთშიც კარგად ხარობს„ცოლიკოურს“ გურიაში თავისი არომატი აქვს. სუფთა იმერული „კრახუნა“ და „ციცქა.“ ჩვენ 5 სახის „ჩხავრის“ ღვინოს ვწურავთ, დაწყებული ქვევრის „ჩხავერიდან.“

ჩვენ წელს გორაბერეჟოულის ღვინის ფესტივალშიც მივიღეთ მონაწილეობა, თუმცა ჯერ-ჯერობით ბაზარი არ გვაქვს. ამჟამად ბაზარზე გასასვლელად მოსამზადებელი პერიოდი გვაქვს და ეს ფესტივალიც ხელს შეუწყობს ჩვენს პოპულარიზაციას — გვითხრეს მათ.

— ჩაის სახლს „გურულები, ფესტივალზე წარმოდგენილი გვაქვს უმაღლესი ხარისხის მწვანე და ფოთლოვანი მწვანე ჩაი; შავი ბაიხის ჩაი და ველური მოცვის ჩაი. ძალიან დიდ საქმეს აკეთებს ჩვენს ქვეყანაში „ჩაის გზა,“ვფიქრობ, ეგი უფრო დიდი წარმატების წინაპირობაა — გვითხრა ცნობილმა ჩაის მწარმოებელმა ფერმერმა სოფელ ბახვიდან **დავით თენიეშვილმა.**

—ნაგომარში, ყანურაში 20 ჰექტარი ჩაის პლანტაცია გვაქვს. 4-5 ტონა ჩაის პროდუქციას ვამზადებთ წლიურად. ძალიან დაგვეხმარა პროექტი „აწარმოე საქართველო“-ს ფარგლებში, რომლის მიერ გამოყოფილი 40 ათასი ლარით ჩაის სახმობი ღუმელი შევიძინეთ. ჩვენ ვამზადებთ დელიკატურ შავ ჩაის, უმაღლესი ხარისხის გრეხილ მწვანე ჩაის, მოხალულ ჩაის და ველური მთის მოცვის ჩაის.

მაგალითად, ვიტამინებით, მინერალებით და ანტიოქსიდებით მდიდარი მწვანე ჩაის დასამზადებლად მხოლოდ ახალგაზრდა ფოთლებია გამოყენებული. მინიმალური ფერმეტაცია და განსაკუთრებული ტექნოლოგია განაპირობებს უნიკალური გემოვნური და სამკურნალო თვისებების შენარჩუნებას. მწვანე გრეხილი ჩაის ნაყენი სასასათო გემოთი და რბილი არომატით გიქმნით განსაკუთრებულ განწყობას, შეგიძლიათ მიირთვათ დღის განმავლობაში.

ჩვენი პროდუქციის შეფუთვაზე ვიზრუნეთ და მხატვარ თამაზ დარჩიას გურული ყაბალახიანი კაცი თავისი განუყრელი ფიშტოთი ამშვენებს ჩვენს ეტიკეტს — გვითხრა **ჯონი ნაჭყებიამ.**

10-მდე დასახელების ჩაი ჰქონდა წარმოდგენილი შპს „მილმართს“. ისინი უკვე გამოცდილი ჩაის მწარმოებლები არიან და წლიურად 4-5 ტონა მზა პროდუქცია უშვებენ,და როგორც გვითხრეს მათი მოხმარების ბაზარი გერმანია, პოლონეთი, ჩეხეთი და რუსეთია.

— დღეს, ფესტივალზე წარმოდგენილი გვაქვს თაფლის პროდუქცია: თაფლი, სანთლის არაყი. ჩვენ ამას თბილისში, ბათუმსა და ოზურგეთში ვყიდით.

დღეს, მეფუტკრეების პრობლემა ფუტკრის დაავადება „ვაროავატოზია,“ რომელმაც მუტაცია განიცადა და ფუტკის სკას რამდენიმე დამუშავებს სჭირდება ზოოლოგიური, დენის იზოლაციის მეთოდით. ქიმიური პრეპარატების გამოყენებაც ხდება საჭირო, ეს პროდუქციის ხარისხზე მოქმედებს — გვითხრა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ზემოფარცხმელა მეფუტკრემ **ნუკრი ცინცაძემ.**

— ძალიან მომწონს ჩემი ახლადაწყებული საქმე. ვფიქრობ გურიაში აგროტურიზმს დიდი მოავალი აქვს. „ტაბერნე გურიაში“ თანდათან იმკვიდრებს მის ადგილს და ასეთი ფესტივალები ერთგვარი სტიმულია მცირე მეწარმეებისათვის. სხვა პროდუქციასთან ერთად აქ გურული კერძი „ბრინჯულა“ წარმოვადგინე, რომლის ისტორია ლანჩხუთში იღებს სათავეს — გვითხრა აცანელმა მცირე მეწარმე **კესო მახარაძემ.**

ფესტივალში ახალგაზრდული პროფესიული კლუბები — იანეულის, ამაღლების (ჩოხატაური), ლიხაურის (ოზურგეთი) საჯარო სკოლები,— მონაწილეობდნენ.

— აშშ საელჩოს მხარდაჭერით ახალგაზრდებში პროფესიული უნარების განვითარებისათვის გურიის რამდენიმე სკოლაში ახალგაზრდული პროფესიული კლუბები შეიქმნა.

მაგალითად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ იანეულის საჯარო სკოლაში კლუბის წევრების ინტერესს მარწყვის წარმოება წარმოადგენს. პროექტის ფარგლებში სკოლის ნაკვეთზე მოეწყო 50 კვადრატული მეტრის სათბური, სადაც დაირგო „ალბიონის“ ჯიშის მარწყვი. პირველი მოსავალი უკვე მიიღეს. გამოცდილების გაზიარების მიზნით მოეწყო სასწავლო პროგრამა სასათბურე მეურნეობაში.

სოფელ ამაღლების საჯარო სკოლის ახალგაზრდული პროფესიული კლუბი თექის წარმოებითაა დაინტერესებული, (მასწავლებელი ლალი ყაჭეიშვილი). კლუბის წევრების მიერ მზადდება სხვადასხვა სახის თექის ნაკეთობები, მოეწყო სასკოლო გამოფენა, გამოცდილების გაზიარების მიზნით მოეწყო სასწავლო პროგრამა კოლეჯ „ჰორიზონტში“, — გვითხრა პროექტის დირექტორმა **თამარ ხომერიკმა.**

—ლიხაურის საჯარო სკოლაში პროფესიული კლუბის წევრებმა მივიწყებული, მაგრამ აუცილებელი, ტრადიციული გოდრის, გიდლის და კალათის დაბწვნის ხელოვნებით დაინტერესდნენ.რამდენიმე თვე ლიხაურელი ოსტატი ელგუჯა სალუქაძე ასწავლიდა მოსწავლეებს ამ უნიკალურ ხელობას. ორი-სამი ისეთი ყოჩაღი გვყავს, თავიანთი პატარა, გაუწაფავი ხელებით აუცილებლად დაბწნავენ გურული სამეურნეო ყოფისთვის აუცილებელ ამ ატრიბუტებს.

მოკლედ დღეს მონაწილეობა მივიღეთ „ჩაის გზის“ გამოფენაში, სადაც წარმოვადგინეთ ოსტატისა და მოსწავლეების მიერ ერთობლივად შექმნილი ნივთები — უთხრა გაზეთ „ალიონს“ სოფელ ლიხაურის საჯარო სკოლის პედაგოგმა **ირმა გორდელაძემ.**

— ჩვენ ვაძლიერებთ ასოციაციას და მის წევრებს. ჩვენი მიზანია, გურიაში განვახორციელოთ პროექტები, როემლიც ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის მდგრად განვითარებას, მოიზიდავს და შექმნის დოვლათს და გააძლიერებს ოჯახებს. ამისთვის კი საჭიროა, როგორც ერთის მხრივ მეწარმოების და სტუმარ-მასპინძლობის განვითარება, რითაც ვართ დაკავებული ამჟამად, ასევე მეორეს მხრივ, რეგიონის და ადგილობრივი პროდუქციის პოპულარიზაცია ფართო წრეებში. სწორედ, პოპულარიზაციას ემსახურება ეს კონკრეტული ღონისძიება, რომლის მხარდაჭერებიც ჩვენ ვართ, ისეთ სტრატეგიულ პარტნიორებთან ერთად როგორიც არის ადგილობრივი მერია და USAID-i“ — განაცხადა კომპანია ბახვი ჰესის გარემოს დაცვისა და სოციალური პროექტების მენეჯერმა **დავით მიქელაძემ.**

—ასოციაცია „ჩაის გზის“ მხარდამჭერი არის იუსაიდის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამა, „ბახვი-ჰესის“ წარმომადგენლობა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტი. ასევე მოვიწვიეთ პროექტ „ღვინის სოფლის“ მონაწილეები. ფესტივალზე იყვნენ ამერიკის საელჩოს მიერ დაფინანსებულ პროექტში მონაწილე ბავშვები, რომლებიც სხვადასხვა მარტივ სამუშაოებს ასრულებენ და ეჩვევიან შრომას, პროფესიის დაუფლებას. ჩვენი მიზანია, ასეთი ღონისძიებით სეზონი გახანგრძლივდეს! გუშინ, როცაა! სივრცის მოწყობას ვგეგმავდით, უცხოელები გვიცქერდნენ და ვუამბეთ, ავუხსენით, რას ვაკეთებდით და ვგეგმავდით. როცა გაიგეს, ფესტივალს ვატარებდით, წასვლა გადადეს. გვითხრეს, რომ ათი დღით ვიყავით ჩამოსული, თუმცა ერთ დღესაც დავამატებთ, ძალიან გვაინტერესებსო. სამომავლოდ გვინდა, კიდევ უფრო ორგანიზებულად გავაკეთოთ ღონისძიებები. ოქტომბერში ასოციაცია გეგმავს გურჯაანში ფესტივალში მონაწილეობას და მომავალ წელს უფრო დახუნძლული იქნება ასეთი ღონისძიებებით. ეს ხელს შეუწყობს , პირველ რიგში ქართული, გურული პროდუქტის პოპულარიზაციას. ყველაკარგ ამბავთან ერთად, გაზრდის გურული, ქართული პროდუქციის ცნობადობას და ასევე გაზრდის მეწარმეების შემოსავლებს! ეს არის და იქნება მშვენიერი გზა ჩვენი მეურნების, მშრომელი ადამიანების ეკონომიკური სიძლიერისთვის! მიზანიც ეს არის! — თქვა მედიასთან ასოციაციაა „ჩაის გზის“ დამფუძნებელმა **ალეკო მამეშვილმა.**

„TV მეორე“ 5 წლისაა

13 სექტემბერს 5 წელი შესრულდა „მეორე“-ს დაარსებიდან. შრომის საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე ***ავთუკა ხომერიკი*** *უნარიანად უძღვება ამ საქმეს და მისი გადაცემები მაყურებლებში პოპულარობით სარგებლობს.*

თუ როგორ მოვიდა დღემდე, როგორ ამზადებს გადაცემებს, ვინ არის მის გუნდში, ამის შესახებ ავთუკა ხომერიკმა გვიამბო:

– 2015 წლის 13 ივნისის შემდეგ დღემდე გადაწყვეტილი მაქვს, რომ გავხდე ჟურნალისტი. ვერეს ტრაგედიისას, როცა ჟურნალისტები ეპიცენტრიდან გადმოსცემდნენ, დავინტერესდი ამ პროფესიით, მაშინ ჯერ კიდევ არ ქონდა თანამედროვე ტექნოლოგიებს ფეხი ასე მოკიდებული, ამიტომაც ტელევიზიებს, ჟურნალისტებსა და მათ საქმიანობას ტელევიზორის საშუალებით ვეცნობოდი. 2015 დან 2016-17 მდე საინფორმაციო გამოშვებები ვიდეოს გადაღების გარეშე, ჩემთვის თამაშის დონეზე მიმყავდა, თუმცა დადგა დრო, როცა მივხვდი, რომ საჭირო იყო განვითარება და დაახლოებით 2017 წლის დასაწყისში შევქმენი „ფეისბუქზე“ გვერდი. უბრალო გვერდი იყო, სახელიც არ მქონდა მოფიქრებული, უბრალოდ ტელევიზორში რაიმე სიახლეს თუ ვნახავდი პოსტის სახით ვტვირთავდი. შემდგომ უკვე გადავწყვიტე ვიდეოების გადაღება დამეწყო. 2017 წლის სექტემბერში ამ ვიდეოებისთვის ახალი გვერდი გავაკეთე და ვინაიდან ეს იყო ჩემი რიგით მეორე სატელევიზიო ხასიათის გვერდი დავარქვი „TVმეორე“.

სიმართლე გითხრათ, თავიდან არ მეგონა ამხელა გამოხმაურება და ინტერესი თუ ექნებოდა ჩემს წამოწყებას. რამდენიმე დღის წინ 5 წელი გავიდა „TVმეორეს“ დაარსებიდან. 5 წელი არც ისე პატარა დროა, გამოცდილების დასაგროვებლად. მართალია, ტელევიზიაში მიღებულ გამოცდილებას ვერ შეედრება, თუმცა კამერასა და მიკროფონთან მუშაობისთვის, ტექსტების კითხვისა და მონტაჟის თვალსაზრისით „TVმეორე“ იძლევა შესაძლებლობას, რომ ამ ყველაფერს შეეჩვიო.

„TVმეორე“ ჩემი სახლის მეორე სართულზე პატარა ოთახში ფუნქციონირებს, სადაც განთავსებულია ინვენტარი: 1 „პეტლიჩკა“ მიკროფონი, 1 კამერა, 1 მწყობრიდან ნახევრად გამოსული შტატივი, მაგიდა და სკამი. ყველა ნივთი შეძენილია ოჯახის წევრების დახმარებით..

მრავალფეროვანი ეთერები მეტად საინტერესოა მაყურებლისთვის, რისთვისაც საჭირო იყო ჩემთან ერთად სხვა ადამიანებსაც ჩაეწერათ გადაცემები. მე ჩემი ინტერესიდან გამომდინარე ახალ ამბებს ვაშუქებ, სხვა დანარჩენი 6 ბავშვი, რომლებიც ჩემი გუნდის წევრები არიან, ასევე მათი ინტერესიდან გამომდინარე, ამზადებენ გადაცემებს. როგორც მოგახსენეთ, გვაქვს საინფორმაციო გამოშვება, საინფორმაციო სამსახურში ჩემს გარდა მუშაობენ **ავთო ჩხიტუნიძე** და **ანანო ჯაბუა.** ამასთანავე გვაქვს სპორტული სიახლეებიც, რომლის წამყვანები **ლევან ბოლქვაძე** და **ლუკა ხომერიკი** გახლავთ. **მარიამ ხომერიკი,** რომელიც გუნდში ყველაზე პატარა წევრია ამინდის პროგნოზსა და სამედიცინო გადაცემას ამზადებს.

გადაცემების მიხედვით წამყვანებს გადანაწილებული აქვთ თავიანთი მოვალეობები. იძიებენ ინფორმაციებს, ადგენენ ტექსტებს. უმეტეს მათგანს მეც ვეხმარები. ოპერატორობას ნებისმიერი თავისუფალი წევრი ითვისებს მონტაჟით ყველა გადაცემას მე ვამონტაჟებ.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, 13 სექტემბერს ჩვენს ინტერნეტტელევიზიას 5 წელი შეუსრულდა, ცენტრალური თუ ადგილობრივი ტელევიზიებიდან ბევრმა მოგვილოცა დაბადების დღე. მილოცვები მივიღეთ მაყურებლისგანაც. თითქმის ყველა გადაცემების ჩაწერის სიხშირის გაზრდას ითხოვს. მინდა ვუთხრა ჩვენს მაყურებელს, რომ მათი მოთხოვნის შესაბამისად, შევეცდებით კიდევ უფრო ხშირად მოვამზადოთ გადაცემები. თუმცა ეს ვერ იქნება ყოველდღიური სახის. ვინაიდან, მოგეხსნებათ ჩვენ სკოლის მოსწავლეები ვართ და აქედან გამომდინარე დროის უმეტეს ნაწილს ვუთმობთ სკოლასა და საგაკვეთილო მასალას. მინიმუმ 2 კვირაში ერთხელ ვეცდებით გადავიღოთ თითო გადაცემა.

ზაფხულში დავიწყეთ სამედიცინო გადაცემა „ჯანმრთელობის საათი“, რის მიმართაც მაყურებელმა გამოიჩინა ინტერესი. ამ ეტაპზე ეს გადაცემა დასრულებულია და მიმდინარეობს ამ ახალი სეზონისთვის მზადება. ვფიქრობ, რომ დღეს ძალიან მნიშვნელოვანია თითოეული ადამიანისთვის სამედიცინო ხასიათის ინფორმაციის სწორად მიწოდება კომპეტენტური პირებისგან.

ტრადიციული გადაცემების ჩაწერა: ახალი ამბები, სპორტული სიახლეები, ამინდის პროგნოზი კვლავ გაგრძელდება.

ახალი კოლექციები

ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის ფონდები ახალი კოლექციებით შეივსო. ეს გახლავთ ვაშნარის ნაქალაქარზე 2020-2022 წლებში არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად აღმოჩენილი მასალები. როგორც არქეოლოგები ბატონი ვაჟა სადრაძე და მერაბ ძნელაძე აღნიშნავენ, აქ აღმოჩენილი არტე-ფაქტები თავისი ისტორიული მნიშვნელობით ძალიან დიდია.

საბოლოოდ ეს ისტორიული მნიშვნელობის ძეგლი უნდა გახდეს ვიზიტორთათვის საინტერესო ადგილი. ვაჟა სადრაძემ და მერაბ ძნელაძემ მუზეუმს გადასცეს სამეცნიერო ლიტერატურა.

ასევე მუზეუმის ფონდებს შეემატა ნეოლითის (ახალი ქვის) ხანის მასალები. რომელიც გურიანთის ციხისფერდის უბანში მცხოვრებმა ვახტანგ კვერღელიძემ გადმოგვცა. ეს არის მის საკარმიდამო ნაკვეთში შემთხვევით აღმოჩენილი კაჟისა და ქვის სამუშაო იარაღები. აღმოჩენილი ექსპონატების საკატალოგო აღწერილობაში დაგვეხმარა ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის მეცნიერ-მუშაკი დოქტორი გურამ ჩხატარაიშვილი და მისი სტუმარი უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერთანამშრომელი, დოქტორი ვალერი მანკო, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით

მანანა ლომაძე
ოზურგეთის სამუზეუმო გაერთიანების ფონდების მცველი

ხსოვნა

ლამარა ფუტურიძე

რამდენიმე ათეული წელი გავიდა მას შემდეგ, პირველად რომ შეაბიჯა სკოლაში. მოგონებათა წლებიც აკინძა დროის კრიალოსანზე. იცხოვრა, ასწავლა, გასცა უზომოთ, უხვად, უანგაროდ ყველაფერი: სიყვარული, სითბო, სიკეთე, ცოდნა და უამრავი მოსწავლის თვალები ააციმციმა ბედნიერებით, მათი სულები კელაპტარივით ჩამოქნა და ააგიზგიზა. „საუკუნო საგზლით“ აავსო გარშემო მყოფნი. უდიდესი დანაკლისია ქალაქ ოზურგეთისთვის ღვაწლ მოსილი პედაგოგის ქალბატონ ლამარა ფუტურიძის გარდაცვალება. დაბა ნასაკირალის საჯარო სკოლა ვერასოდეს დაივიწყებს მისგან წასულ სათნო ღიმილიან ლამარა მასწავლებელს. მისი შრომითი ნაღვაწის კვალზე ჩვენს სკოლაში ახალი თაობები იზრდებიან.

ნასაკირალის საჯარო სკოლა; სამთა –ის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია.

ზორენა ინწკირველი

წარსული მუდამ ფეხდაფეხ დაგვყვება. ვერასოდეს დავივიწყებ მას. ზღვასავით ვრცელი და უნაპირო მოგონებები, რომლებიც იმ ადამიანებს ყოველთვის გაგვახსენებენ, ჩვენს გვერდით რომ იყვნენ და ალამაზებდნენ სასკოლო ცხოვრებას.

5 სექტემბერს ქალბატონ **ზორენა ინწკირველის** დაბადების დღეა, იმ მასწავლებლის, რომლისთვისაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო სასკოლო ცხოვრება და მთელი მისი არსებობაც მოსწავლეთა სიყვარულს, განათლებას მიუძღვნა. მუდამ ზრუნავდა მათ ინტელექტუალურ განვითარებაზე. ასწავლიდა ერთმანეთის პატივისცემას და სურდა, რომ დაზრდილიყვნენ საქართველოში „ალგეთს“ ლეკვები მგლისანი".

ნასაკირალის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი ულოცავს მას იმიერ სამყაროში დაბადების დღეს და შესთხოვს უფალს რომ სულთა თანა განუსვენოს მისი კეთილი სული.

ნასაკირალის საჯარო სკოლა

დრიფტი- ჯაბა სოროზანაშვილის სერიოზული გატაცებაა

ჯაბა სოროზანაშვილმა 2014 წელს დაამთავრა ჩოხატაურის №1 საჯარო სკოლა, შემდეგ კი სწავლა განაგრძო ტექნიკურ უნივერსიტეტში. იგი პროფესიით მშენებელი ინჟინერია.

ჯაბა ავტომობილებით ბავშვობიდან იყო დაინტერესებული და ყოველთვის ცდილობდა საჭესთან ხშირი შეხება ჰქონოდა. 10 წლიდან დაიწყო მანქანის დამოუკიდებლად მართვა და სპორტული ელემენტების შესწავლა. მას შემდეგ დიდი ინტერესი გაუჩნდა მონაწილეობა მიეღო ოფიციალურ შეჯიბრებებში.

2014 წელს შედგა ჯაბა სოროზანაშვილის პირველი შეჯიბრი და საოჯახო მანქანით, რომელსაც მხოლოდ გადაადგილების დანიშნულება ჰქონდა, მონაწილეობა მიიღო წყვილთა რბოლაში და წარმატებაც მოიპოვა. შემდეგ შეიძინა სპორტული მანქანა, რომლითაც თამამად შეეძლო პაექრობა სხვა მრბოლელებთან.

წყვილთა რბოლების შემდეგ გადაწყვეტილება მიიღო, ბედი ეცადა დრიფტში, რომელიც ავთო სპორტის ყველაზე სანახაობრივი სახეობაა. 2019 წელს მისი დებიუტი შედგა სპორტის ამ სახეობაში. აღმოჩნდა, რომ დრიფტი მისთვის ძალიან კომფორტული იყო და სპეციალისტების დიდი მოწონებაც დაიმსახურა. ჯერ მოყვარულთა კლასში იყო. 2022 წლის დასაწყისში კი აიღო პროფესიონალი მრბოლელის ლიცენზია და ამჟამად ჩართულია საქართველოს დრიფტის სერიების პროფესიონალთა კლასში.

2022 წლის - 11 სექტემბერს ჩატარდა შეჯიბრი (კინდ ოფ დრიფტ) რომელშიც 40 - მდე მოყვარული და პროფესიონალი მრბოლელი მონაწილეობდა. შეჯიბრში ჯაბა სოროზანაშვილმა პირველი ადგილი მოიპოვა. ვულოცავთ ნიჭიერ ახალგაზრდას ამ გამარჯვებას და შემდგომ წარმატებებს ვუსურვებთ.

ქეთევან კუკულავა

ილია და გურულები

(წინათქმის მაგიერ)

ყველას საკუთარი ილია ჰყავს.
იქნებ ვინმეს არც ჰყავს, მაგრამ მე რა?!
რა საქმე უნდა მქონდეს მასთან და
მისნაირებთან?!
მე ჩემი ილია მყავს
მამაჩემსაც ჰყავდა საკუთარი ილია
და ეს პირველად 1975 წელს ვიგრძენი.
სულ რაღაც 9 წლის რომ ვიყავი
ზამთარია
დეკემბრის ბოლოა და
ახალ წლამდე ჯერ ისევ შორია.
ნაადრევად აცივდა
ნაადრევად მოთოვა.
გურული ოდის მეორე სართულზე
ვცხოვრობდით იმხანად
ენთო ბუხარი,
გვეხურა საბნები,
თითო-თითო კი არა, ორ-ორი...
ვამბობდით მე და ჩემი და მაია კილაძე
ლექსებს.
(როგორ არ ვიცი, ვიცი, ვკითხულობდით
უნდა დავწერო, მაგრამ მინდა ეწეროს
„ვამბობდით“
იმდროინდელია....
მიყვარს ყველაფერი იმდროინდელი და
ყველაზე ჩემები)
ვთქვი ლექსი ილიასი:
„აყვავებულა მთები,
აყვავებულა მდელო,
მამულო საყვარელო
შენ როსღა აყვავდები?“
ადგა მამაჩემი
არ დაიზარა და გავიდა „უკანა ოთახში“
...
და ვიდრე შემობრუნდებოდა, თქვა დედამ
ლექსი:
„აყვავებულა მდელო,
აყვავებულა მთები,
მამულო საყვარელო,
შენ როს ღა აყვავდები?..“
არც მაშინ და არც კარგახანს
შეცდომისთვის ყურადღება არ მიმიქცევია ...
არც მივაქცევდი ალბათ... (ჩავთვალე
დედამ ჩემზე „გამოთქმით“ თქვა ლექსი).
ამდენი წელია არასწორად მახსოვდა და
მაინც...
ცხოვრობს ქალაქში ქალბატონი ნათელა
გავაშელი...
კითხულობს.
თარგმნის....
წერს...
არედაქტირებს და...
საცა საჭიროა
უცვლის ადგილს სტრიქონებს...
დაბრუნდა მამა...
შემოიტანა იმ წელს გამოცემული „კაცია
ადამიანი?!“ . უცნაური ფორმისა და უცნაურ
ნახატებიანი წიგნი, გემახსოვრებათ, ზეადამია-
ნის, თენგიზ მირზაშვილის დასურათებული,
გადაშალა და დაიწყო...
„რიტორიკაში სწერია: ყველაფერი
შესავლით უნდა დაიწყოს კაცმაო.
ჭეშმარიტია და ჩვენც ისე დავიწყოთ“ .
დავიწყოთო და დავიწყეთ
რიტორიკაც განგვიმარტა და ჩალურიც.
არც ნეკრესის ქარი,
არც ტყრუშული,
არც ქისტი და ამბრი,
არც ჭიის კარი და არც ბუჩო
არ ვიცოდი მე და არ იცოდა ჩემზე
წლინახევრით უმცროსმა დაიკო მაიკომ
ასეა...
სულ ცოტა ვიცოდით ჩვენ და გვყავდა
ყველაფრის მცოდნე მამიკო
იჯდა გურულ ჯორკოზე ბუხრის წინ.
გვიხსნიდა მარტივად და გასაგებად
და მყავს მას შემდეგ ჩემი ილია
და ჰყავს მაიას თავისი ილია, როგორც
ყველა იმ ადამიანს, ვისაც ერთხელ მაინც
დაუწერია თუნდაც ერთი აბზაცი ილიას
ცხოვრებასა თუ შემოქმედებაზე, მოკლედ,
ბიოგრაფი იყო თუ მკვლევარი, პოეტი თუ
პროზაიკოსი, მოსწავლე თუ სტუდენტი
ან/და მხოლოდ მკითხველი.
ჰოდა, ვწერ ჩემს ილიაზე
მამაჩემის ხსოვნის პატივსაცემად ვწერ და
უკვე მერამდენედ ვეთანხმები მამას: წლებს
არაფერი მიაქვს და მოაქვს, მამა წლები
მხოლოდ მოგონებებს ტოვებენ
1924 წლის 12 აპრილს დაბადებული მამა
93 წლის და კიდევ რამდენიმე თვის იყო იმ
დროს და
რჩებოდა თვეები საბოლოო დაძინებამდე!!!
შენ ახლა კითხავს აგრძელებ...
შეიძლება არც აგრძელებ...
მე მამაზე ფიქრს ვწყვეტ და შენზე
ვფიქრობ:
უფრო იმაზე ვფიქრობ: გთხოვო თუ არა,
კითხვა შეწყვიტო, არ დაიზარო და გოგლე
საძიებო სისტემაში „კაცია ადამიანი?!“
აკრიფო
დარწმუნებული ვარ, პირველად აი, ეს
ბმული გამოვა:
http://www.nplg.gov.ge/…/sta…/saskolo/kacia_adamiani.htm და თუ მკითხავ, -
ბმული რა შუაშიაო, გეტყვი: შუაში კი არა,
თავშია და თუ რატომ არის თავში, წიგნის
ბოლოსკენ მოგიყვები, სულ რამდენიმე
სიტყვით.
ამჯერად, სულ სხვა რამ მინდა გითხრა.
წიგნი, უფრო კრებული -„ჩემი ილია“ -
მზის სინათლეს რომ იხილავს,
დანამდვილებით ვიცი.
ისიც ვიცი, თავიც რომ მოვიკლა, ილიას
185 წლის იუბილესთვის ვერ მოვასწრებ.
ეგ არაფერი
მე ვიწყებ და მინდა წინდაწინ გითხრა:
წიგნი ვერ მოექცევა ვერც
ქრონოლოგიურ და ვერც თემატურ
ჩარჩოებში.
არ ვიცი, საიდან სად და რატომ გადავხ-
ტები, მაგრამ ზუსტად მეცოდინება, რატომ
გადავხტი, მერე რატომ დავბრუნდი და
თხრობა შეწყვეტილი ადგილიდან
მოუბოდიშებლად გავაგრძელე
ზოგჯერ, გადახტომა-გადმოხტომის
მიზეზს საქვეყნოდ განვაცხადებ, ზოგჯერ –
საიდუმლოდ შევინახავ, ბოლოს და ბოლოს
ჩემს ილიაზე ვწერ და სრულებითაც არ
ვაპირებ საკუთარი კვლევის უნარების
გამოვლენით, კონკრეტული ფაქტებისა და
მოვლენების შეჯერებით, ანალიზითა და
დასკვნების გამოტანით, როგორც ამ ბოლო
დროს გაიგონებ, „დავკავდე“ .
„ჩემი ილიას“ უმთავრესი, შეიძლება
ითქვას, ერთადერთი მიზანი ილიას ცხოვრე-
ბისა და შემოქმედების კიდევ უფრო ახლოს
გაცნობა, განსაკუთრებით ყურადსაღები
ფაქტებისა და მოვლენების ჩემეული გააზრე-
ბა/გადმოცემაა და ყველაფერ ამაში
არაჩვეულებრივი, ფუნდამენტური სამეც-
ნიეროს ნაშრომი „ილიას ცხოვრებისა და
შემოქმედების მატიანე“ დამეხმარება.
დახმარებაცაა და დახმარებაც, შეიძლება
ითქვას, ნაშრომის ვირტუალური ვერსიის
5516 გვერდი რამდენჯერმე წავიკითხე.
წავიკითხე და მხოლოდ ამის შემდეგ
განვათავსე საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკის, ჩემი აზრით,უფრო
მოსახერხებელ, ნავიგაციის მარტივ და
გაცილებით დახვეწილ საძიებო სისტემით
აღჭურვილ, „სუფთა საბიბლიოთეკო“
პროგრამაში.
დიდი მადლობა იდეის ავტორებს, განმახ-
ორციელებლებსა და დამფინანსებელს.
დიდი მადლობა კოლეგებს, განსაკუთრებით
ციური კოჭლაშვილს, ია გორგიშელს, ნანა
ხვედელიანსა და ციფრული ბიბლიოთეკა
„ივერიელის“ ყველა თანამშრომელს. რომ
არა ისინი, „ჩემი ილიას“ დაწერას კი არა,
ზემონახსენებ პროგრამაში გადატანაზეც ვერ
გავბედავდი ფიქრს.
განსაკუთრებული მადლობა კოლეგებს
სამოქალაქო განათლება-ის განყოფილებიდან
ნათია შენგელაიას, ხათუნა დავითურს და
კიდევ, ბევრ ჩემს კოლეგას, რომლებსაც გზა
და გზა მადლობას აუცილებლად მოვახსენებ.
მანამდე, ზემოთ რომ შთამბეჭდავი სამეც-
ნიერო ნაშრომი ვახსენე, აი, იმ ნაშრომის
რედაქტორის წინათქმიდან ერთი ამონარიდი
მინდა გავაცნო „ალიონის“ მკითხველს:
„ ილია ჭავჭავაძის ცხოვრება და
შემოქმედება აინტერესებს არა მხოლოდ
სამეცნიერო წრეებს, არამედ ფართო საზოგა-
დოებას. ამიტომ ჩვენი მიზანი იყო, რომ
მატიანე ერთი მხრივ, მეცნიერულად სანდო
ყოფილიყო, მეორე მხრივ კი – იოლად
საკითხავი და ყველასათვის ხელმისაწვდომი.
მიზნის მიღწევაში დაგვეხმარა ამ ტიპის
გამოცემისთვის პირველად გამოყენებული
ორშრიანი ელექტრონული ფორმატი. მატიან-
ის ძირითადი ტექსტი ქრონოლოგიური
თანმიმდევრობით არის განლაგებული
ციფრული დოკუმენტის ზედაპირზე, თით-
ოეული ანოტაციის ბოლოს კი არის ღილაკი,
რომელზე კურსორზე თითის დაჭერითაც იხს-
ნება ქვედა შრე – სამეცნიერო აპარატი,
რომელიც ძირითადად სპეციალისტთა
ინტერესებს ემსახურება. იგი მოიცავს
რუბრიკებს: „წყარო“, „ატრიბუცია“, ,
„დათარიღება“, „პირთა იდენტიფიკაცია“, ,
„პირთა ანოტაციები“ და „ფოტო – დოკუ-
მენტი“. ბმულზე მოთავსებულ ასეთსავე
ღილაკზე კურსორის დაჭერით მკითხველი
ბრუნდება იმავე გვერდზე, რომელსაც
კითხულობდა.“
მეც სწორედ ეს გზა გავიარე „ილიას
ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანეში“
სამოგზაუროდ.
ბევრი საყურადღებო ფაქტი, ისტორია
გავიცანი თუ გავიხსენე.
გავიხსენე და ვცდილობ შენთვის მისაღებ
ფორმაში დავწერო...
„ალიონის“ მკითხველს „ჩემი ილიადან“ –
„ილია და გურულებს“ ვთავაზობ...
შენიშვნებსა და წინადადებებზე აქ
არაფერს ვიტყვი...
მათ მიმართ ზუსტად ის დამოკიდებულე-
ბა მაქვს, როგორც ნებისმიერ ასე თუ ისე
განათლებულ ავტორს.

ილია და გურულები

რა მომასვენებდა მამაჩემისთვის არ
მეკითხა – „ილია მახარაძეში თუა ნამყოფი-
მეთქინ?!“
მეთქინ, კი არა, – მეთქია, სწორი გრა-
მატიკულად“ – თქვა და ჯერ უარყოფის
ნიშნად თავი მარცხნიდან მარჯვნივ გადააქნია
და მერე მიპასუხა.
სულ, არა?! – ვკითხე გაკვირვებით და
ლამის ავტირდი.
სულ, არა.. – თქვა და შემდეგი წინადადე-
ბა ისე მიაყოლა ნათქვამს, წყენის გამოხატვა
ვერც მოვასწარი,სწრაფად გადავიდა ექვთიმეს
ამბის თხრობაზე. არ მოგატყუებთ, ექვთიმე
თაყაიშვილზე, იმ დროს, ერთადერთი რამ
ვიცოდი,-ლიხაურიდან იყო და „საფრანგეთში
მენშევიკების გატანილი განძი დაუბრუნა
ქართველ ერს, სტალინის დიდი
დამსახურებით“.
უფ. რა მაგარია! – წამოვიძახე და სმენად
ვიქეცი. მერე რა საინტერესო მოყოლა იცოდა
მამამ!
დაიწყო და მოჰყვა მამა, ახლა უკვე კარ-
გად ნაცნობ ორ ისტორიას – ალიხანოვის
რაზმის შემდგარ და შეუმდგარ ლაშქრობაზე
გურიაში. სხვათაშორის, დავით სარაჯი-
შვილიც ახსენა იმ საღამოს.
ახსენა და დიდი ხნის შემდეგ 2015 თუ
2016 წელს, იქნებ მოგვიანებითაც, პირველად
გავახმაურე დიდი ხნის ოცნება, ოზურგეთის
ცენტრში ან შემოსასვლელში, ილიასა და
დავით სარაჯიშვილის ძეგლის აღმართვის
ენით აუწერელი სურვილისა.
სურვილები კი, როგორც მოგეხსენებათ,
იშვიათად გავიწყებენ თავს.
არც მე დამვიწყებია!
ისევე ,როგორც სურვილი გაზეთ
„ალიონის“ მკითხველთათვის „ჩემი ილი-
ადან“ ერთი ნაწყვეტის შეთავაზებისა
სათაურით- „ილია და გურულები“.
ამისთვის, სულ ორი მიზეზი მქონდა და
მაქვს. პირველი – თემაა თავად საინტერესო
და მეორეც, არამარტო წარმოშობით, არამედ
თუკი რამე არსებობს, ყველაფრით გურული
ვარ.
ამჯერზე, უნდა დავიწყო. მხოლოდ დავი-
წყო, რადგან თავშივე დარწმუნებული ვარ,
სრულად ვერ ამოვწურავ თემას. მე ჩემს
ვცდი და რაც გამოვა ერთად ვნახოთ და
შევაფასოდ.
თხრობას, ბუნებრივია, პეტრე ნაკაშიძით
დავიწყებ, თუ რატომ ამაზე ცოტა ქვემოთ
ვისაუბრებ და არც იმის თქმა დამავიწყდე-
ბა, რომ ბატონი პეტრე სულაც არ ბრძანდება

პირველი გურული, ვისთანაც ილიას შეხვედრა
ჰქონია. ბევრი იყვნენ! კარგების და უკარგე-
სებიც, ცუდებიც და უცუდესებიც. მე მაინც
,მხოლოდ კარგებსა და კიდევ უფრო კარგე-
ბზე ვაპირებ საუბარს..
არ დაგავიწყდათ მე „ჩემ ილიაზე“ ვწერ
და აქ ბურთიც ჩემ მხარეზეა და თავად სტა-
დიონიც ჩემია!
„ილიას ცხოვრებისა და შემოქმედების
მატიანეს“ კალენდარიზე
1860 14 ივლისია და ის პავლოვსკში
წერს პოემის – „ქართვლის დედა,“ პეტრე
ნაკაშიძისადმი მიძღვნის ტექსტს.“
ილია სულ 23 წლისაა.
ჯერ პეტერბურგშია.
ჯერ ისევ სტუდენტია და
23 წლის სტუდენტი ილია ერთ-ერთ
პირველ ლექსს უძღვნის მეგობარს და ვინაა
ეს მეგობარი?
პეტრე ნაკაშიძე „მწერალი, პუბლიცისტი,
ილია ჭავჭავაძის სტუდენტობისდროინდელი
მეგობარი, „თერგდალეულთა“ წრის წევრი.
ჟურნალ „საქართველოს მოამბეში“
გამოაქვეყნა „სამგზავრო წერილები“.“
კალენდარზე კი უკვე 1871 19 მარტია
ილია დუშეთშია
ილია მომრიგებელი მოსამართლეა
ილია ახლადგადაკეთებულ პოემას
„ქართვლის დედას“ ჟურნალ „კრებულში“
დასაბეჭდად მეგობარ პეტრე ნაკაშიძეს უგზა-
ვნის.
პოემის ხელნაწერს თან ერთვის წერილი,
რომელიც იმდენად საინტერესოა, ვერაფრით
შევძლებ თქვენც რომ არ გაგახსენოთ.
მანამდე დიდი მადლიერებით მინდა
აღვნიშნო წერილი ვებ-გვრდზე (ილია
ჭავჭავაძე. ილია ჭავჭავაძის თხზულებათა
კრებული. რომ ვიპოვე **https://iliachavchavadze1837.wordpress.com/…/ilia…/**.
დიდი მადლობა საიტის მესვეურთ.
ახლა კი თავად წერილი!
[1871 წ., 19 მარტი]
“პ ე ტ რ ე! გიგზავნი ხელახლად გადაკეთებულს შენდამი ნაძღვნევს ჩემს „ქართვლის დედას“. თუ მოგეწონოს, მიეცი ნიკოლაძეს დასაბეჭდათ. გთხოვ შენი პირმოურიდებელი აზრი მაცნობო ამ პატარა თხზულებაზედა. კარგად კი წაიკითხე. მე ყველაზედ უფრო ჯარის სიმღერა მომწონს, გლეხურ კილოზედ მოწყობილია. თუ მოგეწონოს დასაბეჭდათ, შენთან მოწერილი ძღვნობის ლექსიც დააბეჭდინე ამასთან ერთად. კორექტურა შენთვის მომინდვია.
შენი ილია ჭავჭავაძე.)”
შენი ილია ჭავჭავაძეო – როგორი ამბავია!
საინტერესოა რამდენ ადამიანს მისწერდა
ასე ილია?!
ცოტას!
ცოტას კი არა – რამდენიმეს და მათ
შორის არის პეტრო ნაკაშიძე
არის!
არის და ამიტომ პეტრე ნაკაშიძის
ბიოგრაფია უნდა გავახსენო მკითხველს.

გიო კილაძე

ხსოვნა

რუსუდან მჟავანაძის ხსოვნას

ადამ ბერიძის სახელობის ნიადაგის და სურსათის დიაგნოსტიკური ცენტრი „ანასეულის“თანამშრომლები დიდი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საუკეთესო სპეციალისტი, უკეთილშობილესი პიროვნება, ინტელიგენტურ ოჯახში აღზრდილი, უღალატო მეგობარი **რუსუდან გურის ძე მჟავანაძე.**

ლიხაურის საშუალო სკოლიდან 1975 წელს მოვიდა ზონალურ-აგროქიმიურ ლაბორატორიაში საკვების განყოფილებაში, სადაც 1980 წლამდე იმუშავა. შემდეგ გადაყვანილი იქნა რადიოლოგიის განყოფილებაში მთავარ აგროქიმიკოს რადიოლოგად, ყველგან უდიდესი პასუხისმგებლობით ასრულებდა მასზედ დაკისრებულ მოვალეობებს.

გაიარა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები საქართველოს სოფლის მეურნეობის ინსტიტუტში, ხოლო დიდი წარმატებით და უმაღლესი შეფასებით– ტაშკენტის ხალხთა მეგობრობის ორდენოსან სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში.

ტკივილიანი იყო რუსუდანისთვის ერთადერთი ძმის – ნოდარის ავადმყოფობა და შემდგომ მისი გარდაცვალება, რამაც დიდი დაღი დაასვა მის ჯანმრთელობას.

სამწუხაროდ, რუსუდანს საკუთარი ოჯახი და შვილები არ ჰყოლია, მაგრამ რძალი ნატო დოლიძე, ძმისშვილები თამუნა და გური მჟავანაძეები ძალას და ენერგიას არ იშურებდნენ, რომ მამისა და მამიდასათვის ტკივილები შეემსუბუქებინათ. განსაკუთრებული იყო ოლი, რომელიც მზრუნველობას და ყურადღებას არ აკლებდა „პრინცესას“, მაგრამ ამაოდ.

ძნელია ამ პატარა წერილით შეაფასო ის ღვაწლი და დამსახურება რუსუდანისა, რითაც იგი გამოირჩეოდა. ჩუმად, უხმაუროდ წავიდა ამ ქვეყნიდან, დაგვიტოვა დიდი მწუხარება და ნაღველი მისი ამ ქვეყნიდან უდროოდ წასვლის გამო.

უფალო! საუკუნო სასუფეველი დაუმკვიდრე რუსუდანს ზეციურ საქართველოში.

მეგობრები.

მამია ერქომაიშვილის ხსოვნას

წელს 86 წელი შეუსრულდებოდა. ყოველწლიურად ვიკრიბებოდით მისი ნიჭის თაყვანისმცემლები, ნათესავები და დიდი სიყვარულით და პატივისცემით აღვნიშნავთ ამ დღეს.

არც ეს წელი ყოფილა გამონაკლისი.

ბატონი მამია იყო დიდი პიროვნება, უღალატო მეგობარი. დიდი იყო მისი ღვაწლი და დამსახურება მეცხოველეობის განვითარების საქმეში.

მინდა ჯანმრთელობა ვუსურვო მის მეუღლეს, ქალბატონ იზოს და მის მრავალრიცხოვან ოჯახს.

უფალი იყოს მათი შემწე.

ლილი ფასიეშვილი,
სწავლული ზოოტექნიკოსი

სამგლოვიარო განცხადებები



გაზეთ „ალიონის“ რედაქცია იუწყება ცნობილი ფეხბურთელისა და მწვრთნელის
იური ჩხაიძის
გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

უახლოესი მეგობრები და მეზობლები იუწყებიან
მერაბი ვაშას ძე კალანდაძის
გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

იური ჩხაიძის ხსოვნას



გარდაიცვალა ცნობილი ფეხბურთელი და მწვრთნელი იური ჩხაიძე.. იგი 1946 წელს დაიბადა ქ. ოზურგეთში. ფეხბურთის თამაში დაიწყო ადგილობრივ სპორტსკოლაში მწვრთნელ რეზო(ტიაღო) ცერცვაძესთან. 1963-1964 წლებში თამაშობდა „მერცხალში“ ,(მწვრთნელი ბიძინა ტაბიძე).1965 წელს ქუთაისის „ტორპედოში“ ანდრო ჟორდანიამ მიიწვია. 1965-71 წწ ჩათვლით 133 მატჩი ითამაშა „ტორპედოს“ შემადგენლობაში სსრკ პირველობაზე უმაღლეს ლიგაში; 1969 წელს საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში პოლონეთის ოლიმპიური ნაკრების წინააღმდეგ ითამაშა; 1972 წელს ანატოლი ნორაკიძის დაჟინებული თხოვნით რომელიც იმხანად „მერცხალში“ უფროსი მწვრთნელი იყო, დაბრუნდა მშობლიურ გუნდში. 1975 წლიდან – 1981 წლამდე იყო „მერცხალის“ მთავარი მწვრთნელი, მათ შორის პირველ ეროვნულ ჩემპიონატში. თანამოზრებთან ერთად დაარსა ბავშვთა საფეხბურთო კლუბი „ბასა“. იური ჩხაიძე კაცი იყო მინდორზეც და მინდვრის გარეთაც, კაცი, რომელიც დიდი სიყვარულით და პატივისცემით სარგებლობდა თავის მეგობრებში და საზოგადოებაში, მისი ცხოვრება ფეხბურთით დაიწყო და ფეხბურთს უერთგულა ბოლომდე.

ნათელი მის ხსოვნას.

მეგობრები

სპანვორდი



პასუხები:

ხელოვნებაში ცნობილი ფრანგი ფანტასტიკოსი; ეროვნული ანბანის ოცდაერთეული ასოა; ეს ასოა ნელი ანუ ლენტური ტრანსპორტიორი; ეს ასოა ზღვაზე ფიფქივით ფრენა; ეს ასოა ბერძნული ანბანის ბოლოსწინა ასოა; ეს ასოა ბერძნული ანბანის ბოლო ასოა; ეს ასოა ბერძნული ანბანის ოცდამეთერთმეტე ასოა; ეს ასოა ბერძნული ანბანის ოცდამეოთხე ასოა; ეს ასოა ბერძნული ანბანის ოცდამეექვსე ასოა; ეს ასოა ბერძნული ანბანის ოცდამეშვიდე ასოა; ეს ასოა ბერძნული ანბანის ოცდამეთორმეტე ასოა; ეს ასოა ბერძნული ანბანის ოცდამეცამეტე ასოა; ეს ასოა ბერძნული ანბანის ოცდამეთერთმეტე ასოა; ეს ასოა ბერძნული ანბანის ოცდამეთხუთმეტ

ქართული სოციალ-დემოკრატია რევოლუციის დამარცხების შემდეგ (1906-1907 წწ.)



ქართველი სამღვდელოება რევოლუციის საწყის ეტაპზე. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნით პეტიციის შემუშავება

1905 წლის 18 თებერვალს იმპერატორმა ნიკოლაი II-მ, როგორც აღვნიშნეთ, გამოსცა მანიფესტი და მოსახლეობას მიუწოდა დახმარება აღმოეჩინათ ხელისუფლებისათვის საშინაო არეულობის დასრულების საქმეში. იმავდროულად ხელმოწერილი იქნა ორო დოკუმენტი: 1. რესკრიპტი შინაგან საქმეთა მინისტრ ალექსანდრ ბულიგინისადმი ითვალისწინებდა სათათბირო და საკანონმდებლო უფლების მქონე სათათბიროს მოწვევას; 2. ბრძანება მმართველი სენატისადმი სენატს ავალებდა შეესწავლა იმპერატორის სახელზე შესული კერძო პირებისა და დაწესებულებების წინადადებები სახელმწიფო მმართველობისა და მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. ქართველმა სამღვდელოებამ გადაწყვიტა, ესარგებლა მანიფესტით, რესკრიპტითა და ბრძანებით მინიჭებული უფლებით და აზრი გამოეთქვა ეკლესიაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. ამ დროისათვის ძალზე პოპულარული იყო საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის (თვითმწყემსობის) აღდგენის იდეა. გარდა ამისა, ქართველი სამღვდელოება ითხოვდა, რამდენიმე მწვავე სოციალური და ეკონომიკური ხასიათის პრობლემის დროულად მოგვარებას. ყოველივე ამას დიდი თავგამოდებით ეწინააღმდეგებოდა საქართველოს ეგზარქოსი, მთავარეპისკოპოსი **ალექსი(ოპოცკი).** 1905 წლის 18 თებერვალს ნიკოლაი II-ის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტების (მანიფესტის, შინაგან საქმეთა მინისტრისადმი პესკრიპტისა და მმართველი სენატისადმი ბრძანების) შემდეგ ეგზარქოსს უფლება აღარ ჰქონდა წინ აღდგომოდა ქართველი სამღვდელოების მიერ საჭირბოროტო საკითხების თაობაზე მსჯელობის დაწყებას. შექმნილი ვითარებით დაუყოვნებლივ ისარგებლა ქართველმა სამღვდელოებამ.

1905 წლის თებერვალშივე დეკანოზი **კალისტრატე ცინცაძე** დაუკავშირდა დეკანოზ **ანტონ თოთიბაძეს** და **სერგი გორგოძეს**. გადაწყდა, ოფიციალურად დაეყენებინათ საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი. შეთანხმდნენ, რომ სერგი გორგოძე შეადგენდა საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის პროექტს, კალისტრატე ცინცაძე – პეტიციას ავტოკეფალიის აღდგენის მოთხოვნით, ანტონ თოთიბაძე – გამოარკვევდა ქართველი სამღვდელოების აზრს ავტოკეფალიის აღდგენასთან დაკავშირებით. გაირკვა, რომ ქართველი სამღვდელოება და მორწმუნე საზოგადოება მხარს უჭერდა ავტოკეფალიის აღდგენას. დაინიშნა კრება, რომელსაც უნდა განეხილა კალისტრატე ცინცაძის მიერ შედგენილი პეტიციის ტექსტი. პეტიციის ტექსტი განიხილეს და მოიწონეს დეკანოზებმა: **კორნელი კეკელიძემ, ნიკიტა თალაქვაძემ, ილარიონ ჯაშმა, ქრიტსეფორე ციცქიშვილმა, ბენიამინ კონტრიძემ.** საერო მოღვაწეთაგან პეტიციის ტექსტი მოიწონეს **ექვთიმე თაყაიშვილმა, ალექსანდრე ყიფშიძემ და ნიკოლოზ არჯევანიძემ**. ამის შემდეგ პეტიციის ტექსტი ცალკე ფურცელზე დაიბეჭდა და განხილვის მიზნით დაეგზავნა ქართველი სამღვდელოების ცნობილ წარმომადგენლებსა და საერო მოღვაწეებს. 1905 წლის მარტში აქტიურად მიმდინარეობდა პეტიციის ტექსტის განხილვა. პირველად პროექტი კუკიის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის სამრევლო სკოლაში განიხილეს. კრებაზე საგანგებოდ იყო მიწვეული **ილია ჭავჭავაძე.** პეტიციის პროექტი მოიწონეს. შემდეგ კრება დეკანოზ **მარკოზ ტყემალაძის** ბინაში გაიმართა. კრებას, სამღვდელოების გარდა, ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებიც დაესწრნენ. კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ **აკაკი წერეთელი** და **ნიკო ნიკოლაძე.** აღსანიშნავია, რომ, წინა კრებისაგან განსხვავებით, მარკოზ ტყემალაძის ბინაში გამართული კრება საქართველოს ეგზარქოს ალექსი ოპოცკის თანხმობით ჩატარდა. ქართველ სამღვდელოებას სურდა ეგზარქოსისათვის დაემტკიცებინა, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას მხარს უჭერდა არა სასულიერო პირთა მცირე ჯგუფი, არამედ – სამღვდელოების უმრავლესობა და საერო მოღვაწენი. კრებამ პეტიციის ტექსტი მოიწონა. აუცილებელი იყო პეტიციის ტექსტი ეპარქიებში დაგზავნილიყო, რათა იგი ქართველი სამღვდელოების ყრილობაზე განხილულიყო. ყრილობის მოწვევას ეგზარქოსს დიდი ხანია სთხოვდნენ, თუმცა ალექსი ოპოცკი თავს იკავებდა. ეგზარქოსმა კარგად იცოდა, რომ ავტოკეფალიის აღდგენის მოთხოვნის გარდა, სამღვდელოება სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებსაც დააყენებდა. ალექსი ოპოცკის უარყოფითი დამოკიდებულების მიუხედავად, დეკანოზები: ანტონ თოთიბაძე, ქრისტეფორე ციცქიშვილი და კალისტრატე ცინცაძე ყრილობის მოწვევისათვის მუშაობას შეუდგნენ. 1905 წლის 10 მაისს ქრისტეფორე ციცქიშვილმა პირდაპირ განაცხადა: სამღვდელოების ყრილობას ეგზარქოსის თანხმობის გარეშეც მოვიწვევთო! ქართველი სამღვდელოების ყრილობა 1905 წლის 28 მაისს უნდა გახსნილიყო (ქართლ-კახეთის სამღვდელოების ყრილობა ზოგიერთ დოკუმენტსა და მემუარულ ლიტერატურაში კრებადაც იწოდება – ვ. გ.).

საქართველოს ეგზარქოსმა ყრილობის დანიშვნის ამბავი რომ გაიგო, სასწრაფოდ დააგზავნა ცირკულარი, რომელიც ქართველ სამღვდელოებას ყრილობაზე დელეგატების გაგზავნას უკრძალავდა. მალე ცნობილი გახდა, რომ ცირკულარი ყრილობის მოწვევას წინ ვერ აღდუდგებოდა. ეგზარქოსმა ხელისუფლების დახმარებით უკიდურესი ღონისძიებებით სცადა ყრილობის ჩაშლა. რკინიგზის სადგურის უფროსებს დაეგზავნათ მიწერილობა, რომლის ძალითაც მათ 1905 წლის 26 მაისიდან 30 მაისამდე ქართველი მღვდლებისათვის სამგზავრო ბილეთი არ უნდა მიეყიდათ. ეგზარქოსმა კარგად იცოდა, რომ ქართლ-კახეთის სამღვდელოების ნაწილი მატარებლის ბილეთის აღებას მაინც მოახერხებდა, ამიტომ იყო, რომ თბილისის რკინიგზის სადგურის ჟანდარმერიამ ბრძანება მიიღო 27-30 მაისს თბილისში მატარებლით ჩამოსული მღვდლები დაეპატიმრებინა. ყრილობის მოწვევის ინიციატორებმა გადაწყვიტეს დახმარება კავკასიის მეფისნაცვალ ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვისათვის ეთხოვათ. გადაწყდა, მოეძებნათ ისეთი პიროვნება, რომელიც მეფისნაცვალს სამღვდელოების თხოვნას წარუდგენდა. ეს რთული მისია მეფისნაცვლის მეგობარ პოლკოვნიკ (1909 წლიდან გენერალ-მაიორ) **ივანე ნაკაშიძეს** (1848-1917) ხვდა წილად. ივანე ნაკაშიძესთან მოლაპარაკებას დეკანოზი ბენიამინ კონტრიძე აწარმოებდა. ორი დღის შემდეგ ივანე ნაკაშიძემ ბენიამინ კონტრიძეს აცნობა: თბილისში მღვდლების ჩამოსვლას ხელს ვერავინ შეუშლის, ყრილობა ოფიციალური იქნება, სამღვდელოებამ საჭირბოროტო საკითხები გაბედულად დააყენოს და თავისი პოზიცია ბოლომდე დაიცვასო. ეგზარქოსმა ალექსიმ უკან დაიხია. მან ყრილობის თავმჯდომარეობა დეკანოზ მარკოზ ტყემალაძეს დაავალა, თვითონ კი სვეტიცხოვლის შეკეთების სამუშაოს დათვალიერება მოიმიზეზა და 1905 წლის 28 მაისს მცხეთაში გაემგზავრა. ეგზარქოსმა მცხათაში **კალისტრატე ცინცაძეც** იახლა.

1905 წლის 28 მაისს ქართლ-კახეთის სამღვდელოების ყრილობა გაიხსნა. დაახლოებით 200 დეპუტატი თბილისის სასულიერო სემინარიაში შეიკრიბა. დელეგატებმა სემინარიის შენობა ყრილობის ჩატარებისათვის შეუფერებლად მიიჩნიეს და ვერის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში მდებარე სანთლის ქარხნის ერთ-ერთ დარბაზში გადავიდნენ. ყრილობა დეკანოზ მარკოზ ტყემალაძეს უნდა გაეხსნა, მაგრამ დელეგატების მოთხოვნით, ყრილობის მუშაობას დეკანოზი **ქრისტეფორე ციცქიშვილი** წარუძღვა. ყრილობის თამჯდომარედ დეკანოზი ქრისტეფორე ციცქიშვილი აირჩიეს, მდივნებად – მღვდლები **ი.ჯაში** და **ა.მიქელაძე.** 29 მაისს ყრილობის დელეგატები სიონის საკათედრო ტაძარში შეიკრიბნენ და ეგზარქოსის წირვად დაესწრნენ. წირვის დასრულების შემდეგ ალექსი ოპოცკიმ დეპუტატებს მიმართა: ქართველმა სამღვდელოებამ დამასწრო, თორემ ყრილობის მოწვევა 1905 წლის 15 ივნისს მე თვითონ მინდოდაო. ცხადია, ეგზარქოსი სიმართლეს არ ამბობდა, ეს იმავე წუთს დადასტურდა. ალექსი ოპოცკიმ დეპუტატებს განუცხადა: თქვენ მიერ არჩეულ ყრილობის თავმჯდომარესა და მდივნებს ვამტკიცებ. ყრილობამ რომ ნაყოფიერად იმუშაოს, გთავაზობთ თითოეული სამრევლოდან ორ-ორი წარმომადგენელი აირჩიოთ, დანარჩენები კი შინ დაბრუნდითო. ეგზარქოსმა ასევე განაცხადა: ამორჩეული დელეგატები სასულიერო სემინარიის პანსიონში დაბინავდებიან, ბინა უფასოდ ექნებათ, კვება კი ფასიანიო. დაბოლოს, ალექსი ოპოცკიმ განაცხადა, ხვალ განსახილველი საკითხების სია მომიტანეთ, რათა ჩემი შეხედულებისამებრ შევავსოო.

ქართლ-კახეთის სამღვდელოების მიერ არჩეულმა დელეგატებმა ეგზარქოსის შეთავაზება მიუღებლად მიიჩნიეს, თითოეული სამრევლოდან ორ-ორი დელეგატის არჩევაზე უარი თქვეს, უარი თქვეს ეგზარქოსისათვის ყრილობაზე განსახილველი საკითხების სიის წარდგენაზეც. ასე რომ, ყრილობა ძველი შემადგენლობით გააგრძელებდა მუშაობას. დეპუტატების ნაწილი იმავე დღეს საცხოვრებლად თბილისის სასულიერო სასწავლებლის პანსიონში გადავიდა.

1905 წლის 31 მაისს ქართლ-კახეთის სამღვდელოების ყრილობამ განიხილა და დაამტკიცა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მოთხოვნით შედგენილი ტექსტი. პეტიცია იწყებოდა საკმაოდ ვრცელი ისტორიულ-სამართლებრივი ხასიათის მიმოხილვით, რომელშიც წარმოდგენილი იყო საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია IV საუკუნიდან XIX საუკუნის დამდეგამდე. შემდეგ ხუთ პუნქტად ჩამოყალიბებული იყო ის მოთხოვნები, რომლებიც რუსეთის იმპერიის მთავრობის (მინისტრთა კომიტეტის), რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის უწმინდესი სინოდის ობერპროკურორისათვის, კავკასიის მეფისნაცვლის და უწმინდესი სინოდის თავმჯდომარის, მიტროპოლიტ **ანტონ ვადკოვსკისათვის** უნდა გაეგზავნათ:

„I.ივერიის ეკლესიას დაუბრუნდეს ავტოკეფალური უფლებები და თავისი კათალიკოსითურთ აღდგეს მცხათა-ივერიის საკათალიკოსო ადრინდელ საზღვრებში (გუბერნიები: თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა, ნაწილი შავი ზღვის გუბერნიისა – აფხაზეთი, სამურზაყანო – და ზაქათალის ოლქი).

II. აღდგეს წესი, როცა ღვთისმსახურთა განთავისუფლებულ ადგილებს არჩევნების შედეგად იკავებდნენ.

შენიშვნა 1: *კრებულის წევრთა ადგილების დასაკავებლად მრევლი ირჩევს უფლებაუნარიან კანდიდატებს, ხოლო სამღვდელოება და ხალხის წარმომადგენელნი – კათალიკოსსა და მღვდელმთავრებს. არჩეულ მღვდელმთავარს ამტკიცებს ივერიის ეკლესიის ყველა მღვდელმთავრის კრება კათალიკოსის მეთაურობით და კათალიკოსთან არსებული წმიდა სინოდი, ხოლო კათალიკოსს – უზენაესი საერო ხელისუფლება.*

შენიშვნა 2: *მღვდელმთავართან არსებულ საეკლესიო საბჭოზე ამა თუ იმ ადგილზე სასულიერო პირთა კანდიდატების არჩევის საქმის ჯეროვანი განხილვის შემდეგ არჩეულს ამტკიცებს და შესაბამის წოდებას ანიჭებს ადგილობრივი ეპისკოპოსი, რომელსაც ყოველ შემთხვევაში უფლება აქვს დასაბუთებულ ვეტო-ს დადებისა.*

III. კათალიკოსთან დაფუძნდეს წმიდა სინოდი (თავმჯდომარე – კათალიკოსი), ხოლო ეპარქიის მღვდელმთავრებთან – საბჭოები, შედგენილი გარკვეული ვადით არჩეული სასულიერო და საერო პირთაგან.

IV. კათალიკოსთან არსებული წმიდა სინოდის ხელში მოექცეს ყველა ეკლესიის, მონასტრის სამღვდელოების, სასწავლო-სასულიერო დაწესებულებებისა და საქველმოქმედო დაწესებულებების უმაღლესი მართვა-გამგეობა.

V. ივერიის ეკლესიას დაუბრუნდეს სახელმწიფოსათვის გადაცემული ყველა საეკლესიო მამული."

პეტიციას ხელი მოაწერა ყრილობის 412 ღვთისმსახურმა.

მაშინ, როდესაც ქართველი სამღვდელოება ავტოკეფალიის აღდგენისათვის მძიმე ბრძოლაში ჩაბმულიყო, მეტად მრავლისმეტყველი ფაქტი მოხდა. საქართველოს ეგზარქოსის, მთავარეპისკოპოს ალექსი ოპოცკის თანამოაზრე და აქტიური მხარდამჭერები იყვნენ საქართველოს საეგზარქოსოს საეკლესიო-სამრევლო სკოლების ზედამხედველი, დეკანოზი **იოან ვოსტორგოვი** და თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორი არქიმანდრიტი **ნიკანდრი (ნიკოლაი ფენომენოვი).** ალექსი ოპოცკი წყალობას არ იშურებდა თანამოაზრეების მიმართ. 1905 წლის 19 მაისს, ეგზარქოსის წარდგინებითა და უწმინდესი სინოდის შუამდგომლობით, იმპერატორის ბრძანებით, არქიმანდრიტი ნიკანდრი ეპისკოპოსის ხარისხში აიყვანეს, ქართლ-კახეთის ეპარქიის მეორე ქორეპისკოპოსად დანიშნეს და **ბაქოს ეპისკოპოსი** უწოდეს. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის თავგამოდებული მოწინააღმდეგისათვის ასეთი წყალობის გაღება იმის მომასწავებელი იყო, რომ ქორეპისკოპოსი ნიკანდრი ალექსი ოპოცკის მარჯვენა ხელი იქნებოდა (სხვადასხვა მიზეზის გამო არქიმანდრიტ ნიკანდრის ბაქოს ეპისკოპოსის რანგში არ უმოღვაწია, იგი მალე საერთოდ გადაიყვანეს კავკასიიდან – ვ. გ.).

პეტიციაზე ხელმოწერა 1905 წლის 31 მაისს, დღის 3 საათზე დასრულდა. ყრილობის თავმჯდომარემ, დეკანოზმა ქრისტეფორე ციცქიშვილმა გამოაცხადა, რომ ყრილობა მუშაობას საღამოს 7 საათზე განაახლებდა თბილისის სასულიერო სემინარიის შენობაში. 31 მაისს სწორედ სასულიერო სემინარიის შენობაში ქართლ-კახეთის სამღვდელოების ყრილობის დელეგატები დაარბიეს.

(გაგრძელება იქნება)

ვახტანგ გურული

(საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918) წიგნი 3; გვ: 468-471

გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!

ახალი სასწავლო წლის დაწყებას ვულოცავ სტუდენტებს, მოსწავლეებსა და მასწავლებლებს.

ეს დღე განსაკუთრებით მინდა მივულოცო პირველკლასელებს და პირველკურსელებს. ახალი საწავლო წელი ყოფილიყოს თქვენს ცოდნისა და გამოცდილების მომტანი.

გელა აროშიძე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას ყველას – მოსწავლეებს, მშობლებს, პედაგოგებს. გისურვებთ, რომ ეს წელი ყოფილიყოს მშვიდობიანი და წარმატებების მომტანი თითოეული თქვენთაგანისათვის. განსაკუთრებით ვულოცავ სასწავლო წლის დაწყებას ჩვენს პირველკლასელებს, რომლებმაც დღეს პირველად შეაღეს სკოლის კარი.

მარიკა ჩხიკვიშვილი

ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე

ძვირფასო მოსწავლეებო, მასწავლებლებო და მშობლებო, გულითადად გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას! გისურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობას, ბედნიერებას, ულევ წარმატებას!

განსაკუთრებით გილოცავთ მათ, ვისთვისაც დღეს პირველი დღეა სკოლაში, როცა პირველი ნაბიჯები გადადგით ცხოვრების ახალ ეტაპზე. მინდა სკოლაში გატარებული თითოეული დღე საწინდარი იყოს თქვენი უამრავი წარმატებისა, რომელიც მომავალში ქვეყანას სასიკეთოდ წადგება.

ლალი სიჭინავა

განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი

ახალი სასწავლო წლის დაწყებას ვულოცავ საბავშვო ბაღების აღსაზრდელებს, მოსწავლეებს, სტუდენტებს.

განათლებული მომავალი თაობა არის ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობის საწინდარი.

გისურვებთ საუკეთესო ცოდნის მიღებას და წარმატებულ სასწავლო წელს!

მაკა ჭყონია

ააიპ სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დირექტორი

დიდი სიყვარულით ვულოცავ ახალი სასწავლო წლის დაწყებას ოზურგეთელ მოსწავლეებსა და პედაგოგებს.

ეს წელი კვლავ ყოფილიყოს სკოლებისა და თეატრის წარმატებული ურთიერთობის წელიწადი

ვასილ ჩიგოგიძე

ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი

ახალი სასწავლო წლის დაწყებას ვულოცავ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ყველა სკოლის მოსწავლეს და მასწავლებლებს.

ყველა ახალგაზრდას ვუსურვებს ჩვენი სამშობლოს ღირსეული შვილი გამხდარიყოს

გოჩა კილაძე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილე

გულითადად გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას, გისურვებთ წარმატებებს ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეში. ამ დღეს განსაკუთრებით ვულოცავ მათ, ვინც პირველად შეაღო სკოლის კარი.

პაატა კილურაძე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე

ჩვენო ძვირფასო მოსწავლეებო, მასწავლებლებო, მშობლებო გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას. ეს სასწავლო წელი ყოფილიყოს თითოეული თქვენგანის წარმატებისა და გამარჯვების წელი.

ვახტანგ ნიშარაძე

საკრებულოს სოფ. ვაკიჯვარის, ცხემლისხიდის, მთისპირის მაჟორიტარი დეპუტატი

„ენერგო-პრო ჯორჯიას“ ოზურგეთის სერვისცენტრი გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!

ურეკში, თოჯინების თეატრის მე-4 საერთაშორისო ფესტივალზე

ალიონი. 4-9 სექტემბერს, დაბა ურეკში თოჯინების თეატრების მე-4 საერთაშორისო ფესტივალი „მზიანი საქართველო“ გაიმართა. კონკურსგარეშე ამ ფესტივალში მონაწილეობდნენ, როგორც მასპიძლები, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თოჯინების თეატრი და თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ ანკარას მოზარდ მაყურებელთა თეატრი.

– საინტერესო ფესტივალი იყო. ჩვენ კონკურსგარეშე ყოველდღიურად ვაჩვენებდით სპექტაკლებს ჩვენი რეპერტუარიდან. ჩვენ უზრუნველყავით ფესტივალის ჩატარების ტექნიკური მხარე, დეკორაციებით და სცენისთვის საჭირო სხვა საშუალებებით.

ფესტივალი კარგად იყო ორგანიზებული, რის გამოც ფესტივალის ხელმძღვანელებმა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი „საუკეთესო მხარდაჭერისთვის“ სპეციალური დიპლომით დააჯილდოვეს.

გარდა ამისა, ჩვენ გადმოგვცეს სპეციალური დიპლომები „საუკეთესო მასპინძელი,“ რეჟისორ ოთარ კუტალაძეს „მარალი პროფესიონალიზმისა და სასცენო მოღვაწეობისათვის; დავით მეგრელაძეს – საუკეთესო მუს-იკალური გაფორმებისთვის.“ ასევე დიპლომი გადაეცა მსახიობებს, როგორც ყველაზე აქტიურ კოლექტივს –გვითხრა თეატრის დირექტორმა **ლაშა კუტალაძემ.**

7 დღის ამინდის პროგნოზი

ღრუბელი +16+23	წვიმა +15+21	წვიმა +14+23	წვიმა +13+21	წვიმა +13+21	მზე, ღრუბელი +12+21	წვიმა +10+19
19 სექტემბერი ორშაბათი	20 სექტემბერი სამშაბათი	21 სექტემბერი ოთხშაბათი	22 სექტემბერი ხუთშაბათი	23 სექტემბერი პარასკევი	24 სექტემბერი შაბათი	25 სექტემბერი კვირა